დამტკიცებულია

ქართული ცოცვის ეროვნული ფედერაციის მიერ

მიხეილ ხერგიანის თასი 2026

დებულება

ჩატარების თარიღი	4-5 ივლისი 2026
ჩატარების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის ქ. 49ა
ორგანიზატორი	ქართული ცოცვის ეროვნული ფედერაცია
დისციპლინა	ბოლდერინგი
მონაწილეთა კატეგორია	ქალები და ვაჟები, 15 წელი და მეტი

1. მოწვეული ქვეყნები და ორგანიზაციები

- საქართველოს ქალაქებისა და რაიონების სპორტული ცოცვის კლუბები
- აზერბაიჯანის მთასვლელთა ფედერაცია (ამფ)
- სომხეთის სპორტული ცოცვის ფედერაცია (სსცფ)
- თურქეთის მთასვლელობის ფედერაცია (თნფ)

2. შეჯიბრის წესები და ფორმატი

შეჯიბრი ტარდება ბოლდერინგის დისციპლინაში, დღეისთვის მოქმედი World Climbing Competition Rules-ის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე დებულებით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

თითოეული გუნდის შემადგენლობა განისაზღვრება მაქსიმუმ ოთხი სპორტსმენითა და ერთი მწვრთნელით. მონაწილეთა ასაკი უნდა იყოს 16 წელი ან მეტი.

შეჯიბრი ჩატარდება ორ ეტაპად: საკვალიფიკაციო და ფინალური რაუნდები.

- საკვალიფიკაციო რაუნდში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა რეგისტრირებულ სპორტსმენს. 60-ზე მეტი სპორტსმენის რეგისტრაციის შემთხვევაში, მონაწილეები შესაძლებელია თანაბრად გადანაწილდნენ ორ სასტარტო ჯგუფში: A ჯგუფსა და B ჯგუფში.
- ფინალურ რაუნდში მონაწილეობის უფლება ექნებათ საკვალიფიკაციო რაუნდში 1-8 ადგილებზე გასულ ქალ და ვაჟ სპორტსმენებს.

3. წინასწარი განრიგი

თარიღი / Date	**დრო / Time**	**ღონისძიება / Activity**
03/07/2026	20:00-22:00	მიღება, სპორტსმენთა რეგისტრაცია, ტექნიკური შეხვედრა და სასტარტო რიგის კენჭისყრა; ი. ჭავჭავაძის ქ. 49ა
04/07/2026	11:00	მიხეილ ხერგიანის თასის გახსნის ცერემონია და საკვალიფიკაციო რაუნდი

05/07/2026	12:00	ფინალური რაუნდი, გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოების ცერემონია
06/07/2026	-	გუნდების გამგზავრება

4. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება

შეჯიბრის შედეგების შესაბამისად გამოვლინდებიან გამარჯვებულები და პრიზიორები. პრიზიორები დაჯილდოვდებიან მედლებითა და ფასიანი პრიზებით. პირველი ადგილის მფლობელები დაჯილდოვდებიან მიხეილ ხერგიანის სახელობის თასით. ყველა მონაწილეს გადაეცემა სიგელები.

5. გუნდების მიღება, განთავსება და ხარჯები

გუნდების მივლინების ხარჯებს, მათ შორის მგზავრობას, განთავსებას, კვებას და ტურნირში მონაწილეობის საფასურს, გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები ან ტურნირში მონაწილე ინდივიდები.

მონაწილეები და გუნდის ოფიციალური პირები პასუხისმგებელნი არიან საკუთარ სამოგზაურო/სამედიცინო დაზღვევაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და პირად ნივთებზე.

6. განაცხადის მიღება

წინასწარი განაცხადები მიიღება ონლაინ რეგისტრაციის გზით არაუგვიანეს 02/07/2026: https://forms.gle/XRN8EN36hsxVceoG7

ვადის გასვლის შემდეგ რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ ორგანიზატორის გადაწყვეტილებით.

7. აპელაცია / პროტესტი

აპელაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს სპორტსმენის გამოსვლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 წუთისა, წერილობითი ფორმით, გუნდის მწვრთნელის ან ოფიციალური წარმომადგენლის მიერ.

აპელაციის საფასურია 20 ევრო. აპელაციის დაკმაყოფილების შემთხვევაში თანხა ბრუნდება ტურნირის დასრულების შემდეგ. აპელაციის არდაკმაყოფილების შემთხვევაში თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.

8. მონაწილეობის საფასური და გადახდის პირობები

მონაწილეობის საფასური შეადგენს 15 ევროს ეკვივალენტს ლარში. გადახდის ბოლო ვადაა 02/07/2026.

- ბანკი: საქართველოს ბანკი
- ბანკის კოდი: BAGAGE22
- ანგარიშის ნომერი: GE70BG0000000606215794
- დანიშნულებაში მიუთითეთ მონაწილის სახელი, გვარი და პირადი ნომერი.

9. უსაფრთხოება და სამედიცინო უზრუნველყოფა

ტურნირზე უზრუნველყოფილი იქნება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟის/პირველადი დახმარების არსებობა. მიუხედავად ამისა, მონაწილეები პასუხისმგებელნი არიან საკუთარ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და შეჯიბრში მონაწილეობენ საკუთარი რისკით.

არასრულწლოვანმა მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ტურნირში მონაწილეობის შესაბამისი თანხმობა მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის ან მიმავლინებელი ორგანიზაციისგან.

10. ქცევის კოდექსი

ყველა სპორტსმენი, მწვრთნელი, გუნდის წარმომადგენელი და მონაწილე ვალდებულია პატივი სცეს მსაჯებს, ორგანიზატორებს, სხვა სპორტსმენებს, მოხალისეებსა და მაყურებლებს. არასათანადო ქცევა შეიძლება გახდეს გაფრთხილების, შეჯიბრის ზონიდან გაძევების ან დისკვალიფიკაციის საფუძველი.

11. დამატებითი ინფორმაცია ადგილის შესახებ

ტურნირი გაიმართება მიხეილ ხერგიანის სახელობის საცოცდარბაზში, სადაც მოწყობილია ამიერკავკასიაში პირველი და ერთადერთი პარიზის ოლიმპიადაზე წარმოდგენილი ოლიმპიური ბოლდერინგის “TITAN”-ის მოკლე, 18-მეტრიანი ანალოგი. პრობლემები მოეწყობა World Climbing-თან დაკავშირებული მწარმოებელი კომპანიების საჭიდებით.

12. კონტაქტი

- ქართული ცოცვის ეროვნული ფედერაცია
- ტელ.: +995 559 000 170
- ელ-ფოსტა: info@geoclimbing.ge
- ვებგვერდი: geoclimbing.ge

Georgian Climbing National Federation

Digitally signed by Georgian Climbing National Federation
Date: 2026.06.26 03:22:20 +04'00'